# საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2

ქ.თბილისი 30 სექტემბერი 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ზ.გაიპარაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გ.ტალახაძე

კომისიის წევრები: ზ.სხირტლაძე, მ.ციციშვილი, მ.მანია, მ.კოკოჩაშვილი, გ.ხოშტარია, ვ.დავითაია, ი.მასხარაშვილი, ი.კოშორიძე, ნ.ჯაბუა, გ.იაშვილი, ლ.სილაგაძე, მ.მაცაბერიძე, დ.შველიძე, ა.ჯიხაშვილი, ი.მირიჯანაშვილი.

სათათბირო ხმის უფლებით: თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი ს.სანაძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი ი.მერკვილიშვილი

დღის წესრიგი: 1921 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის მხატვრულ-არქიტექტურული ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების კონკურსის წესით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2013 წლის 12 ივლისს (საკონკურსო განცხადების #859) კონკურსში მონაწილეთა საკონკურსო წინადადებების თანმხლები დოკუმენტაციის შერჩევა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის აპარატის ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ საკონკურსო წინადადება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა სამმა კონკურსანტმა, რომელთა დევიზია: 1. 1 182191; 2. მწვანე კვადრატი 123457; 3. გმირთა კარიბჭე 3111.

საკონკურსო წინადადებების თანმხლები დოკუმენტაციის შერჩევის შედეგად დადგენილ იქნა:

კონკურსანტის - მწვანე კვადრატი 123457-ის (გიორგი შხვაცაბაია)- მიერ არ არის წარმოდგენილი წინადადების ფასი (არაუმეტეს 4000 ლარისა), განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, ინფორმაცია მომსახურების ვადების შესახებ. წარმოდგენილ საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებული კონკურსის ნომერი. ვინაიდან, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილია მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესისის შესახებ" მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

კონკურსანტის - 1 182191 – (შოთა ჩხაიძე, მამუკა ჩხაიძე) - წარმოდგენილი ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია მონაცემების დარღვევით, არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაცია და საიდენტიფიკაციო კოდი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული ,,კონკურსის მეშვეობით

საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესისის შესახებ'' მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

კონკურსანტის - გმირთა კარიბჭე 3111 – (ვლადიმერ იმერლიშვილი) - ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს. არ არის წარმოდგენილი წინადადების ფასი და ხარჯთაღრიცხვა, ინფორმაცია მომსახურების ვადების შესახებ, მაკეტი, სიტუაციური და მემორიალის გეგმა, საპროექტო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია მონაცემების დარღვევით, არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაცია და საიდენტიფიკაციო კოდი, განცხადების უნიკალური ნომერი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესისის შესახებ'' მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

კომისიისა და აპარატის წევრებმა ხელი მოაწერეს წერილს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ.

საკონკურსო კომისიამ იმსჯელა და დაადგინა, რომ ვინაიდან არცერთი კონკურსანტის საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს, კონკურსი ჩაითვალოს უარყოფითი შედეგით დასრულებულად.

კომისიამ ასევე იმსჯელა და მიზანშეწონილად ჩათვალა ხელახალი კონკურსის გამოცხადება. იქვე ქანხილულ იქნა კონკურსის განცხადება და პირობები მცირედი ცვლილებებით და გამოცხადების ვადები.

**საკონკურსო კომისიამ დაადგინა:**

1. კონკურსანტების: მწვანე კვადრატი 123457-ის - გიორგი შხვაცაბაია, 1 182191 - შოთა ჩხაიძე, მამუკა ჩხაიზე, გმირთა კარიბჭე 3111 - ვლადიმერ იმერლიშვილი - მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს და მოხდეს მათი დისკვალიფიკაცია.

2. დამტკიცდეს ხელახალი საკონკურსო განცხადებისა და პირობების პროექტი (იხ.დანართი). დამტკიცების შემდეგ საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს საკონკურსო განაცხადისა და მასზე დანდართული დოკუმენტაციის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს უზრუნველყოს კონკურსანტებისათვის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინებების დაგზავნა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ზ.გაიპარაშვილი------------------------

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გ.ტალახაძე----------------------------

კომისიის წევრები:

ი.მირიჯანაშვილი--------------

ზ.სხირტლაძე--------------------

ი.მასხარაშვილი-------------

მ.ციციშვილი---------------------

ი.კოშორიძე--------------------

მ.მანია------------------------------

ნ.ჯაბუა--------------------------

მ.კოკოჩაშვილი-------------------

გ.იაშვილი------------------------

გ.ხოშტარია---------------------

ლ.სილაგაძე---------------------

ვ.დავითაია-------------------------

მ.მაცაბერიძე------------------

დ.შველიძე--------------------------

ა.ჯიხაშვილი--------------------

**ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ**

ქ.თბილისი 30 სექტემბერი 2013 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1921 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის მხატვრულ-არქიტექტურული ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების კონკურსის წესით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2013 წლის 12 ივლისს გამოცხადებულ კონკურსში - განცხადების ნომერი 859 - მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ზ.გაიპარაშვილი-------------

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გ.ტალახაძე--------------------

კომისიის წევრები:

ზ.სხირტლაძე--------------- ი.მასხარაშვილი----------

მ.ციციშვილი--------------- ი.კოშორიძე---------------

მ.მანია--------------------- ნ.ჯაბუა----------------

მ.კოკოჩაშვილი------------- გ.იაშვილი--------------

გ.ხოშტარია---------------- ლ.სილაგაძე--------------

ვ.დავითაია---------------- მ.მაცაბერიძე------------

დ.შველიძე----------------- ი.მირიჯანაშვილი----------

ა.ჯიხაშვილი--------------

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი ი.მერკვილიშვილი ----------------------

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
№ 1309/01-50-09
„30" 09 2013 წ.
ჭავჭავაძის გამზ. №1, 0179, თბილისი, საქართველო
1, TCHAVTCHAVADZE AVE, 0179, TBILISI, GEORGIA

ბატონ ვლადიმერ იმერლიშვილს

ბატონო ვლადიმერ,

გაცნობებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიის მიერ განხილულ იქნა, 1921 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული უნივერსიტეტის სტუდენტების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალის მხატვრულ-არქიტექტურული ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენის მომსახურების კონკურსის წესით სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2013 წლის 12 ივლისს გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადების #859), თქვენ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების თანმხლები დოკუმენტები. განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს. არ არის წარმოდგენილი წინადადების ფასი და ხარჯთაღრიცხვა, ინფორმაცია მომსახურების ვადების შესახებ, მაკეტი, სიტუაციური და მემორიალის გეგმა, საპროექტო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია. გარდა ამისა, საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია მონაცემების დარღვევით, არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაცია და საიდენტიფიკაციო კოდი, განცხადების უნიკალური ნომერი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესისის შესახებ" მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ვინაიდან, კონკურსში მონაწილეთა საკონკურსო წინადადებები არ შეესაბამება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის პირობებს, კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით.

პატივისცემით,

თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი,

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ გაიპარაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
I. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
კანცელარია
Chancellery